№ 4
ხუთშაბათი, 8 იანვარი 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 4
ხუთშაბათი, 8 იანვარი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარია
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

„ივერია"
გამოვა 1899 წელსაც
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის" რედაქცია,
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიას
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და
...ში, ხიდდებულის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ და-პირ.
ტელეფონი № 227.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА".

შეღავათი წლიურ ხელის-მომწერთათვის: ვინც გაზეთს ამ თავითვე მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამგვარად: ხელის-მოწერის დროს 3 მან., პირველ მარტს—2 მან., პირველ მაისს—3 მან. და პირველ სექტემბერს—2 მან. სოფლის მასწავლებელთ გაზეთი წელიწადში 8 მან. დაუთმობთ, ნახევარის წლით 4 მან.

## ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

ღარიბთ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამდე. აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდები ავადმყოფობისა და სხვა. ...განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვსა, სოლოლაკი. (20—185—18)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ბ. კარაშეტიანცი. 1—1½ საათ შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лѣчебница** *Д-ра Навасардіана.*
**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**
(—1—წ)

## მთავრობის განკარგულებანი

გამწესებულ იქმნენ: აზნაური ნიკოლოზ იოსელიანი—ტფილისის სახაზინო პალატის საგანგებო საქმეთა შტატს გარეშე მოხელედ. ტფილისის მოქალაქე ნიკოლოზ კვირიკაძე—ტფილისის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად.

დანიშნულ იქმნა ქუთაისის საგუბერნიო ხაზინის ბუღალტერის თანაშემწე დავით კაკაბაძე—ამავე ხაზინის უმცროს ბუღალტრის თანამდებობის აღმასრულებლად.

გადაყვანილ იქმნენ: გრეკნის მაზრის მე-4 ნაწილის ბოქაული თავადი ვაჩნაძე—იმავე მაზრის მე-3 ნაწილის ბოქაულად; ახალ ქალაქის სამაზრო ხაზინის ხაზინადარი მამაცაშვილი ასეთსავე თანამდებობაზედ გორის სამაზრო ხაზინაში.

## ახალი ამბავი

*** ოთხშაბათს, 6 იანვარს, მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე, ყოვლად სამღვდელო გორის ეპისკოპოსი ლეონიდის და უმთავრეს სამღვდელოებითურთ მწირველი იყო სამხედრო სობოროში. წირვის შემდეგ სამღვდელოება გამოვიდა ტაძრიდგან და ლიტანიით წავიდა იორდანაზედ წყლის საკურთხებლად. ტაძრიდგან იორდანემდე გზის ორივე მხარეს ჯარი იდგა და იორდანესთან-კი—ამქრები თავიანთ ბაირაღებით. ქალაქის სამღვდელოება ჯვრით და ხატებით მის ყოვლად უსამღვდელოესობის ალავერდის ეპისკოპოსის კირიონის წინამძღოლობით სიონის ტაძრიდგან ლიტანიით მოვიდა იორდანეზედ და შეუერთდა დანარჩენს სამღვდელოებას. ჩაასვენეს თუ არა ჯვარი მდინარეში, არსენალიდგან მაშინვე დაიწყო ზარბაზნების სროლა და მდინარეში ჩაცვივდნენ საბანაოდ ორმოცამდე კაცი. წყლის კურთხევას აუარებელი ხალხი დაესწრო. მათ შორის მრავალი გენერლობა. ჰბრძანდებოდა კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი.

*** ოთხშაბათს, 6 იანვარს, ტფილისის კრუჟოკში ჩვეულებრივი ყოველ წლიური ბალი იყო გამართული ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის საშუალებათა გასაძლიერებლად. ბალს დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო. დიასახლისობდა პატივცემული კნ. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა. ბალმა საერთოდ ძალიან მხიარულად ჩაიარა და გასტანა დილის 5 საათამდე. დაესწრნენ ჩვენი დიდკაცობა და გენერლობა. ბალის ანგარიშს შემდეგ ვაუწყებთ მკითხველებს.

*** ქალაქის გამგეობის წევრმა თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა, რომელიც ნიხრის დამნიშვნელ კომისიის თავჯდომარედ იყო, ქალაქის მოურავს მისცა თხოვნა დასახელებულ კომისიის თავჯდომარეობის თანამდებობიდგან განმათავისუფლეო. თავ. არღუთინსკის მიერ ამგვარი თხოვნის მიცემის მიზეზი, სხვათა შორის, ისა ყოფილა, რომ ამ კომისიის კრებებში, ნამეტნავად, როცა მეპურეები და ყასბები პურისა და ხორცის ნიხრის მომატებასა სთხოვენ, ქალაქის მოურავი ბ-ნი ევანგულოვიც მონაწილეობას იღებს ხოლმე და ამით ხელს მიშლის პირუთვნელად აღვასრულო ამ კომისიის თავჯდომარის მოვალეობანიო.

*** მასწავლებელთ: ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიისა—ბ-ნთ კარპინსკისა და რომანოვსკის, ტფილისის რეალურ სასწავლებლისა—ლეიცინგერს, სამასწავლებლო ინსტიტუტისა—აგაპიევს, კადეტთა კორპუსისა—სმირნოვს, სამხედრო-საფერშლო სკოლისა—ივანოვს, ქალაქის საქიმიო ლაბორატორიის გამგეს—ალიბეგოვს და მკურნალს—იერუსალიმსკის მიუმართავთ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის და უთხოვნიათ,—ნება მოგვეცით წელს ზაფხულამდე ტფილისის საშუალო სასწავლებლების სადგომებში წავიკითხოთ ლექციებიო. ლექციებს კვირაში ორ საათს მოანდომებენ. ბ-ნ კარპინსკის აზრადა აქვს წაიკითხოს ლექციები სიტყვიერების თეორიისა და რუსეთის ლიტერატურის ისტორიისა, რომანოვსკის—გეოგრაფიისა, ლეიცინგერს—გეომეტრიისა, აგაპიევს—ალგებრისა, სმირნოვს—ფიზიკისა, ივანოვს—რუსეთის ისტორიისა, ალიბეგოვს—ქიმიისა და იერუსალიმსკის—ანატომიისა და ფიზიოლოგიის შესახებ.

*** მორიგი კრება ქალაქის საბჭოსი მოხდება ორშაბათს, 11 იანვარს. განსახილველად დანიშნულია შემდეგი საგნები: მოხსენება ქალაქის მოურავისა ხმოსნად ნამყოფის მ. დ. როტინიანცის გარდაცვალების შესახებ; მოხსენება ქალაქის გამგეობისა ქალაქის მეოთხე ნაწილის სახლების ხელმეორედ დაფასების უწყების დამტკიცების შესახებ; ქალაქის ლომბარდის მმართველის მოხსენება და აგრეთვე მოხსენება ხმოსანის თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა შესახებ იმისა, რომ შემცირებულ იქმნას ხარჯი ამ ლომბარდზე. არჩევანი ხორცისა და პურის ნიხრის დამწესებელ კომისიის

## ფელეტონი

### საკუთარი რამე-რუმე

> ურვამან შემიპყრა მე ცოდვილთამან, რომელთა დაუტევეს სჯული შენი.
> ფსალმუნი დავითისი (118—53)

ახლავე ვხედავ და ამ თავითვე ვგრძნობ, რომ პატივცემულს მკითხველს წყენა და უსიამოვნება მივაყენე, ვინაიდგან ჩემის წერილის სათავეში ასეთი არა-სანუკვეშო სიტყვები მოვაქციე. მაგრამ დეე მკითხველებმაც იგულისხმონ, რომ მეც, იმათი მორჩილი მსახური, მათზედ ნაკლებ გულ ნატკენი და აღშფოთებული არა ვარ, როცა თანამედროვე ცხოვრების ზოგიერთ სიდუხჭირის ჭვრეტა და ამ სიდუხჭირეთა, ამ ავგრათა საქვეყნოდ გამოცხადება ზოგჯერ წილად მხვდება ხოლმე. დიაღ, ვწხვარ და მრავალგვარადაც ვწუხვარ, როცა თვალ და თვალ ვხედავ, რომ ჩვენ ეროვნულ თავისებურებათა საუკეთესო სახენი თანდათან ირყევა, იბღალება და ირყვნება.

ინც, თქვენდა საბედნიეროდ, ოპტიმისტი ბრძანდებით და ჩემი სიტყვები არა გჯერათ, შეადარეთ აწინდელი ჩვენი პურის-ჭამა ძველებურს დღევანდელის გულისათვის, მიბრძანეთ, რა ჰგავს პირველი უკანასკნელს დღითი ვგევართ ჩვენ, ეხლანდელი ცუდრუკა მოქეიფენი, ძველ დარბაისელ მონადიმეთ? მერწმუნეთ, რომ ამას დაშვრებით და აქ მსგავსების ნიშან წყალსაც ვერ იპოვით. ხოლო განვავება თუ გნებავთ, თქვენ აღარ შეწუხებთ, მე თითონ მოგახსენებ

ჩვენი ძველები ამბობდნენ და ჩვენ ანდერძად გადმოგვცეს: „მარტო-ხელა კაცი პურის ჭამაშიაც ბრალიაო". ეხლანდელ პურის ჭამის შესახებაც რომ იგივე ვთქვათ, დიდი სისულელე, დიდი შეცდომა იქნება. ეხლა პურის ჭამაში ჭეშმარიტად მარტო კაცია ნეტარი და ბედნიერი; ხოლო ვაი იმას, ვინც ძველის ანდაზით გაბრიყვდება და პურის ჭამაში ვისმე გაუამხანაგდება. ერთ-ერთ თანამეინახეთა სიცოცხლე უეჭველად სათუოდ საგულვებელი გახდება. რადა? განა კითხვა და უნდა? ახლა, სადაც პური გაიტეხება, იქ უსათუოდ კაცის თავიც უნდა გატყდეს; სადაც ღვინის წვეთი დაიღვრება, იქ ადამიანის სისხლიც უნდა დაიქცეს. რაც ჩვენში კაცის კვლა, დაჭრა, ჩხუბი, აურ-ზაური, შფოთი და ლალვა ხდება, ათს შემთხვევაში ცხრა ყოველთვის ეხლანდელ გაუკულმართებულ პურის-ჭამის შედეგია. ამას ჰმოწმობენ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები, ამას ასაბუთებს ჩვენებური სასამართლოთა მატიანე.

უკეთუ ჩვენ ზნეობრივად და გონებრივად გზა-კვალ-დაკარგულნი, განაცარქექიავებულნი და მკვიდრ ნიადაგ მოკლებულნი არ ვიყვნეთ, პურის ჭამა—ეს ძველთათვის ერთობისა, ძმობისა და მეგობრობის დამმყარებელ-გამმტკიცებელი საქმე—დღეს სისხლის ღვრად და უბედურება-უსიამოვნებად რად გვიქცევია? რად დაგვეკარგა აგრე სირცხვილი, რად გაგვიქრა აგრე კდემა-მოსილება, რომ თუ წინად პურის-ჭამაში ძალლის გალახვაც უზნეობა და უკადრისობა იყო, ჩვენ ეხლა ისეთსავე პურის ჭამაში ერთმანეთის, არა თუ გალახვას, ერთმანეთის მოკვლასაც არაფრად ვთაკილობთ?! რად დავეცით და რად მოვიკიცხეთ აგრე, რომ მამა პაპათაგან სათაყვანებელი და საფიცარი წმიდათა წმიდა ჩვენ ასე შევაგინეთ და უპატიო ვყავით!

ღვინო ძველად უფრო კარგი იყო, ჩვენი ძველებიც ჩვენზედ მეტად ახოვანნი და ჯან-საღნი იყვნენ და, მაშასადამე, ჩვენზედ უკეთესნი ვაჟკაცნიც, ალბად ღვინის სმაც მეტი შეეძლოთ, იარაღის ხმარებაც იმ დალოცვილებს უფრო ეხერხებოდათ და რატომ ისინი არა ჩხუბობდნენ და არ უწმაწურობდნენ პურის ჭამაში? რატომ ერთი შემთხვევა მაინც არ ვიცით, რომ წინანდელი პურის ჭამა ერთმანეთის ხოცვად და ჭამად გადაქცეულიყოს!

ჩვენი ძველები, ბატონო ჩემო, გარდა იმისა, რომ ზრდილნი და დარბაისელნი გახლდნენ, მტკიცედ მორწმუნე ქრისტიანენიც იყვნენ და

თავჯდომარისა; მოხსენება კომისიისა შესახებ იმისა, რომ შეცვლილ იქმნას წეს-რიგი საბჭოს მიერ საქმეთა განხილვისა; შედეგი საჯარო ვაჭრობისა კუკიისა და ავლაბრის აგარაკების იჯარით გაცემისა; კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების თხოვნა, რომელშიაც ნათქვამია, ნება მოგვეცით საზოგადოების სადგურის წინ, ალექსანდრეს ბაღში, ფარდული გავმართოთ სამეურნეო მანქანებისა და იარაღის დასაწყობადაო და სხვ.

** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ გარდასწყვიტა მომავალის თვიდგან შეუდგეს ტფილისის საბაღოსნო სკოლის სადგომის გაფართოვებას. ამ საქმისათვის გადადებულია 2000 მან.

** ხვალ, 9 იანვარს, ქალაქის გამგეობის სადგურში დანიშნულია კრება ხორცისა და პურის ნიხრის დამწესებელ კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს ყასბების თხოვნა შესახებ იმისა, რომ ხორცის ნიხრს მოემატოსო. ეს თხოვნა ტფილისის ყასბებს ქალაქის მოურავისთვის მიურთმევიათ.

ჩვენის აზრით, მეტად საჭიროა, ვიდრე კომისია ამ თხოვნას განიხილავდეს, გამოიძიოს, სად და როგორ იყიდება საკლავი საქონელი და რა ფასად უჯდება თვით ყასბებს ხორცი. საზოგადოდ ნიხრის დამწესებელი კომისია იყიდის ხოლმე საკლავ საქონელს ისევ ჩვენს ყასბებისგან, დაჰკლავს და მერე ანგარიშობს, გირვანქა ხორცი როგორ დაგვიჯდაო. არ იქნებოდა ურიგო, ამ კომისიას შეეტყო, როგორ იყიდება საკლავი საქონელი ჩვენს კურთხეულ ქალაქში-კი არა, სადაც ყასბები განგებ უმატებენ ფასს, არამედ მახლობელ ადგილებში მაინც. მაგალითად, გორის მაზრაში ძროხის ხორცი და ისიც საუკეთესო, გირვანქა შაურად იყიდება.

** პეტერბურგიდგან იუწყებიან, რომ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე 14 ანუ 15 ს იანვარს გამოემგზავრება ტფილისსაო.

** 12 იანვარს სხვა და სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებად ნამყოფნი აპირებენ საზოგადო სადილის გამართვას. აზრადა აქვთ ამ სადილის დროს განიხილონ განზრახული სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების პროექტი.

** გაზ. „კავკასია“ სწერს, რომ კავკასიის მთავარ მართებელმა ნება დართო ახალციხის მაზრის აწყურის სოფლის საზოგადოება განთავისუფლებულ იქმნას იმ ხარჯისაგან, რომელიც მთავრობის მიერ დანიშნულ მამასახლისისა და ორის ჩაფარის შენახვას უნდება და ნება მიეცეს ამ საზოგადოებას თვით აარჩიოს თავისს წევრთა შორის მამასახლისი.

** იგივე გაზეთი იუწყება, რომ ამ დღეებში ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი პეტერბურგში წავა.

** როგორც იგივე გაზეთი იუწყება, ამ ახლო მომავალში ტფილისს მოხდება ამიერ-კავკასიის გუბერნატორთა კრება.

** გაზეთ „კავკასია“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან: ფოსტათა და ტელეგრაფთა მთავარ-სამმართველომ გადასწყვიტა გაიყვანოს ახალი, დამატებით მავთულები დეპეშების გადასაცემად: პეტროვსკსა და ბაქოს შორის, ტფილისსა და კარაკლის შორის, ეკატერინოდარსა და გიაგინს შორის და აგრეთვე ტფილისსა და ხაშურს შორის.

** აზრადა აქვთ, როგორც „ახ. მიმ.“-ა იუწყება, ამიერ-კავკასიის ზოგიერთ გუბერნიებში დააარსონ სატეხნიკო კომისიები. ამ კომისიებმა უნდა დიათვალიერონ და გასინჯონ ხიდები, სადარაჯოები და სხვა საგზო შენობანი.

** ერევნიდგან სწერენ გაზ. „მშაკს“, რომ 28 დეკემბერს აქ მოხდა არჩევანები ქალაქის გამგეობის ერთის წევრის, მისის კანდიდატისა და საბჭოს მდივნისაო. გამგეობის წევრად აურჩევიათ მაჰმადიანი ბ-ნი შეიხი, ხოლო მდივნად—ა. ტერ-ხაჩატუროვი.

** გაზ. „ტფ. ფურ“-ს სიტყვით, ამ ახლო მომავალში კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ბ-ნი პრიბილი სამსახურის საქმეებისა გამო ახალქალაქსა და ახალციხეში წავა.

** აზრადა აქვთ ამ ცოტა ხანში დააარსონ კუკიაში ქალაქის სამკურნალოს საამბულატორო განყოფილება. ამ ჟამად ქალაქის გამგეობა განზრახულ განყოფილებისათვის შესაფერ სადგომს ეძებს დასაქირავებლად.

** კავკასიის სამოსწავლო ოლქის გამგეობაში, როგორც „ტფ. ფურ“-ი იუწყება, ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ საერო განათლების სამინისტროს დაბალსა და საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთ ჯამაგირი მოემატოთ. ეს საგანი თვით საერო განათლების სამინისტრომ აღძრა. კავკასიის სამოსწავლო ოლქის გამგეობა ამ საგნის შესახებ შეეკითხა სხვა და სხვა სასწავლებლების უფროსებს, რომელთაც უკვე წარადგინეს თავიანთი მოსაზრებანი.

** წარსულის წლის 29 დეკემბერს ოზურგეთში, ვ. თავდგირიძის მეცადინეობით, გაუმართავთ ქართული წარმოდგენა. მონაწილეობა მიუღიათ ადგილობრივ სცენის მოყვარეთ.

** 29 დეკემბერს, როგორც გაზ. „კავკას“-სა სწერენ, რამდენიმე შეიარაღებული კაცი თავს დასხმია ქუთაისის მაზრის სოფ. ჩხენიშში ძმათა ხარებოვებს. დაჰხოცავს ერთი მათგანი—ეფრემი მოუკლავთ, ხოლო მეორე დაუჭრიათ.

** 5 იანვარს პოლიციელმა ბესტავაშვილმა შეიპყრო ტფილისის მოქალაქის შვილი ამბარცუმ მიხეილის ძე გრიგორიევი, რომელსაც ოთხი წყვილი მოპარული კალოშები მიჰქონდა. გრიგორიევმა განაცხადა, რომ კალოშები ქალაქის მე-5 ნაწილში მოვიპარეო.

** კონსულის ქუჩაზედ მცხოვრებმა იაგორ მურადოვმა განაცხადა პოლიციაში, რომ 3 იანვარს ჩემის ბინიდგან ვიღაცამ მომპარა ვერცხლის ქამარი, ღირებული 50 მანეთად. ამასთან იქვე ტფილისის მოქალაქეზედ ალექსანდრე შადინოვზედ მიიტანა.

** 4 იანვარს, საღამოს 9 საათზედ, ვიღაც ქურდს ბარონის ქუჩაზედ, ტფილისის მოქალაქის ზაქარია აბდუშვილის სადგომიდგან მოუპარავს ხალიჩა 40 მანეთად ღირებული. აბდუშვილმა ეჭვი თავის ნათესავ დარჩო მამაჯანოვზედ შეიტანა.

** გორის მაზრაში, სოფელ ჯვარების მღვდლის ალექსანდრე გაგლოშვილის სახლს ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ წაუკიდეს ცეცხლი. დაიწვა 226 ფუთი ხორბალი პური, 232 ფუთი ქერი და სხვა-და-სხვა იარაღი და ავეჯი. ზარალი 992 მანეთისა იქმნება თურმე.

** თელავის მაზრ. სოფელ კოდოთაში ბოროტ-გამზრახველთ ცეცხლი წაუკიდეს ადგილობრივ მამასახლისის საბძელს.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ს. ერედვი, (გორის მაზრა). ჩვენს უკანასკნელს წერილში („ივერია“ № 223 1898 წ.) მოგახსენებდით, რომ ჩვენში ქურდობა გაჩნდა შინაური თუ გარეული და მოსვენება არა გვაქვს-მეთქი. მართლაც, რაკი ერთხელ აიდგეს ფეხი ქურდებმა, ის დღეა და ეს დღე: გარდა იმისა, რომ საქონელი იკარგება, ცხენი და სხვა მრავალი, მიჰყვეს ხელი ახლა მარნებისა და სახლების მტვრევასა და გაქურდვას.

დეკემბრის შუა რიცხვებში მობძანდა ბოქაული და დაავალა ხალხს გაეწერა სოფელზედ დანაკარგების სათვალავი. ამასთანავე განკარგულება მოახდინა უთუოდ მოსძებნონ ქურდები. სოფელმა ამოირჩია ხევის კაცები, რომელთაც მიენდოთ—ადევნონ თვალ ყური სოფელს, სოფელში შენიშნულს ქურდებს, თვალ ყური ეჭირათ, როცა ვინმე გაიქურდება, აღმოაჩინონ ქურდი, ან არა თითონვე გარდაიხადონ ერთი ორად. გამოუცხადონ ყველა შენიშნულთ, უკეთუ გაჰბედავენ კიდევ ქურდობას, გარდაეცემიან მთავრობას დასასჯელად, და თუ გარემოება მოითხოვს, სრულიად განდევნილ იქმნებიან სოფლიდგან და სხ. ხევის თავებმა ხელი დაადეს ორ ახალგაზდა კაცს. მათის აზრით, როგორც თავ ქურდებს, მრავალჯერ შენიშნულებს ქურდობაში და დაადგინეს: ეს ორი ახალგაზდა გადაასახლონ სამუდამოდ ამ საზოგადოებიდგან, როგორც მავნე კაცები. გარდა ამ ორის ქურდისა, აღმოაჩინდა კიდევ ოც და-ოთხი ახალგაზდა, რომელთაც თურმე უყვართ ყურძნის პარვა, სიმინდისა, სხვის ნამუშაკარის, მუშა-ფიჩხისა, სარისა და სხვა ამისთანებისა. ამ უკანასკნელთ უნდა ჩამოერთვათ პირობა, რომ აღარაფერს მოიპარვენ; წინაამდეგ შემთხვევაში სოფელი აღარც იმათ დაზოგავს.

ყოველივე ეს კარგია და ძლიერ კარგიც, მაგრამ ბ-ნმა ბოქაულმა ორი ჩაფარი დასტოვა სოფელში მამასახლისისას და ისინი რის მაქნისები არიან ეს-კი ვერ გაგვიგია. აგერ შეესრულდებათ ერთი კვირა ამ ჩაფრებს, რაც აქ არიან და ვისაც-კი გააჩნდა გასუქებული ბურვაკი, ქათამი, ყვერული, ინდოური თუ სხვა რამ, აღარ შეარჩინეს; თუ არ კარგი ღვინო, თუ არ კარგი არაყი, როგორ მიირთმევენ ისე პურს ან ვინ გაბედავს ისე ძღვნის მირთმევას? თუ-კი ვინმემ გაჰბედა, კაი იმისი ბრალი — წაასწვნენ და სულ ტყავს გააძრობენ. თითონ რო ვეღარ ერევიან სამელ საჭმელს, იწვევენ გამვლელ-გამომვლელ ხალხსა და არის ამ დღე სოფელში ერთი ორონ-ტრიალი. ეს მივუტევოთ ცოდვილთა, რამეთუ იციან რას იქმონან, მაგრამ ჩვენ ასე გვგონია, რომ ან ბოქაულისგან და სხვა ვისმესაგან ჰქონდესთ ჩაფრებს ბრძანება ხალხს სცემონ, სტყეპონ ყველაფერი ძალდამალ წაართვან, სხვა რომ თავი დავანებოთ, ფულიც-კი.

ტ. ერედველი

# რუსეთი

—

ეკატერინბურგის ქალაქის გამგეობამ ამ დღეებში წარუდგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობა ქ. ეკატერინბურგში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ.

— ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ამ მიმდინარე წელს მოახდინონ სრულიად რუსეთის მეაბრეშუმეთა კრება.

— როგორც წინადაც ვწერდით, ქ. ხარკოვმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ამ ქალაქში დაარსებულ იქმნას უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. როგორც გამოანგარიშებულია შენობაგების აგებას დასჭირდება 500,0000 მანეთი. ჯერჯერობით განზრახულ ინსტიტუტის სასარგებლოდ გადასდო ფული მხოლოდ ხარკოვის საადგილმამულო ბანკმა—100 ათასი მანეთი და ქალაქმაც დაუთმო 50 დესეტინა მიწა.

— როგორც „Рус. Вѣд.“-ი იუწყება, მოსკოვის საპატიო მოქალაქეს პავლე გრიგორის ძე შელაპუტინს გამოუცხადებია მოსკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის, რომ მსურს შევწირო 1) 300,000 მანეთი მოსკოვში გიმნაზიის შენობის ასაგებად; 2) 2000 ოთხ კ. საჟ. მიწა ამავე გიმნაზიას და 3) 100,000 მანეთი საგინეკოლოგო ინსტიტუტის შესანახადაო.

# უცხოეთი

—

საფრანგეთი. იუსტიციის მინისტრის წინადადებით, მინისტრთა საბჭოს დაუდგენია საკასაციო სასამართლოს სა-

---

პურის ჭამას ისე უყურებდნენ, როგორც საღმრთო რამ საიდუმლოს, რომლისადმი განუსაზღვრელის რიდითა და კრძალვით, უზომო მოწიწებითა და პატივისცემით იყვნენ გამსჭვალულნი. პურ-მარილის შეუსაბამო და უგვანის საქციელით შეგინება უარყოფა და გმობა იყო იმ დიდებულის მოძღვრისა, რომელმანც კანას გალილიას ქორწილი აკურთხა და მუნ წყალი ღვინოდ შესცვალა, რომელმანც უდაბნოში ხუთიათასს კაცს ისეთი გულ-უხვი მასპინძლობა გაუწია, რომელმანც ჯვარცმის წინად მოციქულებთან ისერა და მით დასდვა საფუძველი წირვისა და ზიარებისა და რომელიც აღდგომის შემდეგ მრავალგზის გამოეცხადა მოწაფეებს „განტეხასა მას პურისასა“.

ეს, სხვათა შორის, იმითაც მტკიცდება, რომ ძველი კაცი პურის ჭამას ისე არ შეუდგებოდა, ვიდრე სასოებით პირჯვარს არ გამოისახავდა. ღვინის დალოცვა ხომ სავალდებულო იყო. პირველად ახსენებდნენ ღმერთს ყოვლის შემოქმედსა და დასაბამს, ხოლო დასასრულ ყოვლად წმიდას სთხოვდნენ მფარველობასა და ნუგეშს...

ადამიანის ბრიყვობა-უვიცობისა თუ გაუთლელობა-უზრდელობის დასახასიათებლად იტყოდნენ: „ღვინის დალოცვაც არ იცისო“.

ახლა-ლა? ახლა ღვინის დალოცვა მართლა სირცხვილად და უზრდელობად მიაჩნიათ. ყავახანურმა განათლებამ დიდის სითამამით და თავ-აგდებით შეახო თვისი უწმინდური ხელები ამ ჩვენს წმინდა ჩვეულებას და, ჩვენდა სამწუხაროდ, კიდეც შეჰმწიკვლა და შეჰმუსრა. შეჰმუსრა და ჩვენებურმა პურის ჭამამაც ადრინდელი სახე და ელფერი დაჰკარგა. დაიბაისლურ საუბრის მაგივრად უწმაწური ლაზღანდარობა შემოიღეს, საგულისხმიერო შაირების ნაცვლად გამრყვნელი ლათაიები გაამეფეს, ზმების ბადლად ლანძღვაგინება დაგვინერგეს, მოსწრებულ სიტყვა-პასუხის ალაგას ხანჯლის ტრიალი და დამბაჩის გრიალი გაგვიჩაღეს მოძმისა და მოყვსის სიცოცხლის გასაქრობად.

ასეთმა სალახანურმა, თუ ყავახანურმა უზნეობამ, სხვათა შორის, ჩვენებურ დღეობასაც სახელი გაუტეხა, ქორწილსაც ჩირქი მოაცხო. ხოლო ორივე ისეთ უპატივობამდე მიიყვანა, რომ ერთსაცა და მეორესაც მოქალაქობრივ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევას უქადის. უკვე გაისმის ქადაგება საზოგადოებასა და მწერლობაში იმის შესახებ, რომ დღეობები მოვსპოთ და ქორწილების გარდახდას თავი დავანებოთო. ვითომ და ხალხს რომ ერთად შეკრების შემთხვევა აღარ ექნება, ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტის მიზეზსაც ვერ იშოვისო და, ამ ნაირად ზნეობრივადაც მოვიგებთ და ქონებრივადაც სარგებლობა გვექნებაო. ეს სიტყვები რომ უფრო გასაგებად და გარკვევითა ვსთქვათ, აი რა გამოვა: დღეობებში ხალხი არა მამა-პაპათ სალოცავის პატივსაცემლად დადის, არამედ გამოსაძღომად და გაძღომის შემდეგ ჩხუბისა და აურ-ზაურის ასატეხად. ქორწილში იყრის ხალხი თავს მეფე-პატარძლის სადარბაზოდ და სამხიარულოდ კი არა, არამედ ისევ და ისევ გამოსათრობად და შემდეგ ერთმანეთის საკინკლაოდ. ამაზედ მეტად განა შესაძლებელია, რომ ადამიანი ზნეობრივ-გონებრივად დაქვეითდეს, გათახსირდეს და მოითხაროს? დღეობები უნდა მოვსპოთ, ქორწილი აღარ უნდა გადვიხადოთ! ნუ თუ ეს ცხადი ნიშანი არ არის იმისი, რომ ღვთის ხატება და მსგავსება დაგვიკარგავს, ადამიანურ ურთიერთობა-დამოკიდებულებისა აღარაფერი გაგვეგება, ერთი მეორეს ვეღარა ვგუობთ, ერთმანეთს აღარ ვეთვისებით, საერთო და საზოგადო აღარა გვაგვაჩნია-რა.

ჩვენი უზნეობა და უბოდიშობა ამ შემთხვევაში უმწვერვალეს გამწვავებამდე რომ არ მისულიყო, დღეობა-ქორწილების მოსპობის შესახებ ლაპარაკი განა გაიბედებოდა! ადამიანი ადამიანს ნუ ინახულებს და ნუ მოიკითხავს, კაცი კაცს ნუ უპურ-მარილებსო, ყოველივე ეს სათქმელად განა ძნელი არ არის? ძნელია, მაგრამ მაშ რაღა ვუქვათ, რომ ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა უფრო ძნელი და საშინელია.

კნინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქო პალატის თავმჯდომარედ ბალო-ბოპერი იქმნას დანიშნული კენედ-ბორეპერის ნაცვლად, რომელიც დრეიფუსის საქმის გამო ვერ მოურიგდა თავისს ამხანაგებს და სამსახურს თავი დაანება. საკასაციო სასამართლოს ამა თუ იმ პალატის თავჯდომარეობა იმდენად საპატიო ადგილია, რომ გაზეთებს საჭიროდ დაუნახავთ ბალო-ბოპერის მოკლე ბიოგრაფია აგვიწერონ.

16 წლეიწადი შესრულდა, რაც ბალო-ბოპერი საკასაციო სასამართლოს წევრია. იმას უფლებათა დოქტორის ხარისხი აქვს მიღებული და გამოჩენილ იურისტად ითვლება. ბოლო-ბოპერი 62 წლის კაცია ეხლა. იგი მდივანი იყო ვექილთა კონფერენციისა 1860—1870 წ. როცა რესპუბლიკის ბრალმდებლად იქმნა დანიშნული ტულონში. ამის შემდეგ უფროს ბრალმდებლის თანამდებობა ჩააბარა მთავრობამ და ამ თანამდებობას ასრულებდა სხვა-და-სხვა ქალაქში 1882 წლამდე, როცა მიიღო საკასაციო სახამართლოს წევრობა. ბალო-ბოპერის „საპატიო ლეგიონის“ ორდენი აქვს.

—

**სერბია.** სერბიის სკუპშჩინა საიდუმლოდ არის ეხლა დათხოვნილი და 15 იანვრისთვის შეიკრიბება. უმთავრესი კანონდებულება, რომლის დამტკიცებითაც დღესასწაულების წინა დღეებში ისახელა თავი სკუპშჩინამ, კრებების გამართვას და კრებებში მონაწილეობის მიღების უფლებას შეეხება. როგორც გაზეთები მოგვითხრობენ, ეს კანონი სრულებით ბოლოს უღებს პოლიტიკურს ცხოვრებას სერბიაში. უმთავრესი მუხლები ამ კანონისა უკრძალავსთ ყველა მოხელეს, ვექილს, პროფესორს, მოქალაქეს, რომელსაც თავისუფალი პროფესია აქვს არჩეული და ზგრეთვე იმათაც, ვინაც ცოტად მაინც არის, შენიშნულები არიან პოლიტიკურს საქმეებში—რომელიმე პოლიტიკურს დასში ჩაეწერონ წევრებად და მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკო კრებებში. ეს კანონი ერთ კანონთან ერთად, რომლის ძალითაც სამჯერ გაფრთხილების შემდეგ აღიკრძალების ჟურნალის თუ გაზეთის გამოცემა, სერბიის უკან მსვლელობის ნიშნად აზრნიათ და დიდად ჰკიცხავენ ვლადან გეორგიევიჩის სამინისტროს.

—

**ესპანია.** კონსერვატორთა კრებაზედ ამ დასის მოთავეს სილველა გრძელი სიტყვა წარმოუთქვამს, რომლმაც ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მწერლობაში. ეს სიტყვა სამოქმედო პროგრამაა კონსერვატორებისა. სილველას უთქვამს, რომ საკასტამ დიდი სარგებლობა მოუტანა ესპანიის ტახტს, მაგრამ ის გასაკიცხია კუბის საქმეების გამო და განსაკუთრებით ჩრდილო ამერიკის შტატებთან ომში. სილველას სიტყვით, ესპანიის პარლამენტი სრულებით არაფერს არ აკეთებს, რადგან იგი მოკლებულია ზნეობრიულს მნიშვნელობას. უეჭველად ამის გამო სილველას აზრით, ჩქარა უნდა მოველოდეთ საგასტას დაცემას თუ გინდ დიდხანს დარჩა კუნის მართვა-გამგეობა ლიბერალურ დასის ხელში ესპანია მტერებულს განსაცდელში ჩავარდება. საფინანსო საქმეების შესახებ, რომელიც ერთობ აინტერესებს ორატორს, ის ამბობს, რომ უეჭველად მომრავლებას ბაჟი უნდა დაედვასო; აგრეთვე ის იმ აზრის არის, რომ საგზაო და სამრეწველო საგნებს გარდასახადი მოუმატოს და სამსახურიდგან გადაყენებულ მოხელეთ პენსია შეუმციროდეთ. სილველას სურვილი, რაღა თქმა უნდა, ის არის, რომ კონსერვატორების ხელში გადავიდეს ქვეყნის მართვა-გამგეობა, მაგრამ არც იმის წინააღმდეგია, სხვა დასების წარმომადგენელნი იყვნენ კაბინეტის წევრებად. ორატორმა შემდეგ სთქვა, რომ საჭიროა ცვლილება მოხდეს სამოსამართლო დაწესებულებასა და არჩევანებშიო; უნდა დაარსდეს განსაკუთრებული სამინისტრო საზოგადო სამუშაოისა და ვაჭრობის, რომლის გამგეობაში უნდა იმყოფებოდეს ფოსტა-ტელეგრაფიო. სილველა მომეტებულს ყურადღებას აქცევს ქვეყნის ბუნებრივის სიმდიდრის ამოყენებასს. რაც შეეხება გარეშე პოლიტიკასს, კონსერვატორთა მოთავისა აზრით, გეოგრაფიული მდებარეობა ესპანიისა უწყობს ესპანიას—უცხო სახელმწიფოს ხელში არ ჩავარდეს, მაგრამ უფრო შემთხვევისათვის, მაინც საჭიროა ფლოტის და ჯარის გამრავლებ[ა].

## სასამართლოს მატიანე

(კვიციანიასა და ჩიჩელევის საქმე)

5 იანვარს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ამიერიანის მამასახლისად ნამყოფის იაკობ კვიციანიასი, რომელსაც ჰბრალდებოდა კოდორის წილის უფროსის მტაბს-კაპიტანი ჩიჩელევის შეურაცხყოფა.

საქმე ასე იყო:

2 სექტემბერს 1896 წელს კოდორის წილის უფროსი შტაბს-კაპიტანი ჩიჩელევი მოვიდა სოფ. ამიჩუას გამგეობის მოსაძებნად. აღმოჩნდა, რომ მამასახლისს კვიციანიას არ აუსრულებია ბძანება ჩიჩელევისა ხარჯის აკრების შესახებ. ჩიჩელევს ეს მეტად სწყენია, დაუწყია ლაპარაკი კვიციანიასთან ამ საქმის გამო, არ მოსწონებია იმისი ქცევა და სიტყვა-პასუხი და ორჯერ გაურტყამს კვიციანიასთვის მათრახი. კვიციანსაც ჩიჩელევისათვის კისერში მუშტი შემოუკრავს.

ზემოხსენებულნი გარემოებანი ამ საქმისა აღმოჩნდა გამოძიების დროს, რომელიც მოხდა ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით.

ბრალდებულმა კვიციანიამ თავი დამნაშავედ არ აღიარა და მოახსენა სასამართლოს, ჩიჩელევმა რომ ორჯერ მათრახი გადმომკრა, კიდევ მესამედაც უნდოდა გადმოეკრა, მინდოდა ამეცდინა მათრახი, ჩიჩელევს ხელი ვკარი და წაიქცაო.

ქუთაისის ოლქის სასამართლომ, განიხილა რა ეს საქმე, დამნაშავედ სცნო კვიციანია და მიუსაჯა ყოველისა უფლებისა და უპირატესობის ჩამორთმევა და 1 წლით და 4 თვით ციხეში დაპატიმრება.

ტფილისის სამოსამართლო პალატამ ხელმეორედ განიხილა ეს საქმე, დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, მხოლოდ ციხეში დაპატიმრების ვადა შეუმცირა ბრალდებულს და მიუსაჯა 8 თვით დაპატიმრება.

## დამატებანი

ძმობამან წმიდად შეკრებულმან დაჰხსნა საცთურნი მწუხრნი, ღამენი ბნელნი განაცისკროვნნა.

ანტონ I

* * *

მგზრდი მისი არს ტახტი მოწყალებისა, წიაღი მისი არს სამყოფი სიბრძნისა და სული არს სახლი კეთილმოქმედებისა.

გიორგი ჯაიშვილი

* * *

უკეთუ ჰკიდე სწავლა კეთილთასა, არა გარცხვინოს სიმდაბლე ბოროტთამან.

ნიკოლოზ ტფილელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრეფილი ამბები)

უკვე ოთხი წელიწადი იქმნება, რაც ერთმა ამერიკელმა პროფესორმა ფლაშა გრაკმა გამოიგონა ტელეგრაფის მანქანა, რომლის შემწეობით დეპეშა გამგზავნელის ხელით დაიწერება მიმღებ სადგურზე. გამგზავნელი სწერს დეპეშას ტელეგრაფის სადგურზე საგანგებოდ გაკეთებულის კალმით და სწორედ ისეთივე კალამი დეპეშის მიმღებ სადგურზე სწერს იმავე დეპეშას. ამგვარად გადაცემული დეპეშა სწორედ იმავე ხელით იქება დაწერილი, როგორის ხელითაც დაწერა დეპეშის გამგზავნელმა. ამისათვის საჭირო იყო, რომ სადგურებ შორის გაბმული ყოფილიყო ოთხი მავთული. ამ მიზეზისა და კიდევ სხვა ცოტაოდენ უხერხულობისა გამო ამ მანქანის ხმარება აქამდე არსად არა ყოფილა შემოღებული. პროფესორმა გრაკმა შეაკეთა ეს მანქანა და ეხლა იმის შემწეობით ზემოხსენებულ დეპეშების გასაგზავნად საჭიროა მხოლოდ ორი მავთული. მანქანას სახელად ეწოდება ტელეავტოგრაფი. ეჭვი არ არის, რომ მალე ეს მანქანა ყველა სახელმწიფოებში იქმნება გამართული.

* * *

მილიონების პატრონები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო მეტ ფასად დაზღვევს თავისს ძვირფასს სიცოცხლეს. ამერიკელმა მდიდარმა კაცმა ვანდერბილტმა თვისი სიცოცხლე დაზღვია 2 მილიონ მანათად. ამდენადვე დაზღვია სიცოცხლე თვისი პარიჟელმა როტშილდმა. თითოეულს მათგანს დამზღვევ საზოგადოებაში შეაქვს ყოველ წლივ 200 ათასი მანათი. 70 წლის მდიდარ დედაკაცის ლედი სტანფორდის სიცოცხლე დაზღვეულია 4 მილიონ მანათად. წელიწადში იხდის 350 ათას მანათს. თუ ვინიცობაა ეს დედაკაცი დაზღვევის ვადამდე გარდაიცვალა, სიცოცხლის დამზღვევმა საზოგადოებამ ოთხი მილიონი უნდა გადასცეს ლელონდის უნივერსიტეტს.

* * *

ამერიკის ქალაქ ვენიგტონში შემდეგი ამბავი მომხდარა. ვიღაც ბ-ნს სინდლეის ცოლი გარდაეცვალა. ეკკლესიაში პასტორი ანდერძს უგებდა განსვენებულს. პანაშვიდს დაესწრო მრავალი ნათესავი და ნაცნობი ახლად გარდაცვალებულისა. გათავდა თუ არა პანაშვიდი, განსვენებულის ქმარმა მიიყვანა პასტორთან თავისის ცოლის ბიძაშვილი და სთხოვა: „კეთილ ინებეთ და ჯვარი დაგვწერეთო“. პასტორმა ჯვარი გადასწერა და სინდლეიმ, მეორე ცოლმა და ნათესავებმა ყველამ ერთად სასაფლაომდე მიაცილეს გვამი სინდლეის პირველის ცოლისა.

## წერილები რედაქციის მიმართ

—

გულითადს მადლობას ვუცხადებთ „ივერიისა“, „ცნობის ფურცლისა“, „კვალისა“, „მოამბისა“, „ჯეჯილისა“, „კრებულისა“ და „**Кавказъ**“-ის რედაქციებს, რომელნიც წარსულის წლის განმავლობაში უსასყიდლოდ გვიგზავნიდნენ დორპატის ქართველ სტუდენტებს თავიანთ გამოცემებს.

დორპატის ქართველ სტუდენტების მონდობილობით სტუდენტი ზ. ედილაშვილი.

—

ჩემს შენიშვნაში კავკავში ქართულ საღამოს გამართვის შესახებ, რომელიც დასტამბული იყო „ივერიის“ ამ წლის პირველ ნომერში, ჩემდა უნებლიედ, შეცდომით გამოტოვებულია კნეინა ელ. ხიმშიაშვილისა, რომელსაც სხვებთან ერთად დიდი ღვაწლი და შრომა მიუძღვის ხსენებულის საღამოს გამართვის საქმეში. კნეინა ელისაბედ ხიმშიაშვილისა საზოგადოდ ყოველთვის მზად არის მხარი დაუჭიროს და შეძლებისადაგვარად მონაწილეობა მიიღოს ყოველგვარ საზოგადო საქველმოქმედო საქმეებში. ამასთან, როგორც სარწმუნო წყაროდგანაც გავიგეთ, სრული შემოსავალი საღამოდგან ყოფილა 900 მანეთზედ მეტი, რომლიდგანაც წმინდა ნაღდი შემოსავალი უდრის 736 მანეთს, რომელიც გარდაეცა კავკავის სკოლის სამზრუნველოს საღამოს მოთავესაგან. საღამოს გამართვით საღამოს მოთავემ და მონაწილეობის მიმღებლებმა დიდად კეთილი საქმე ქმნეს. სრული იმედია, რომ ამისთანა ნაყოფიერ საღამოების გამართვა მათ მიერ იშვიათი არ იქნება.

კახაბერი.

—

დიდ მადლობას ვუცხადებ ემილ ივანეს ძე ლეიცს და ივანე სერგეის ძე ტერ-სარქისოვს, რომელთაც განჯაში 6 იანვარს გამართულ ღარიბთათვის შობის ხის სასარგებლოდ შემოსწირეს: პირველმა—სხვა-და-სხვა ტანისამოსი, ხოლო მეორემ—რვეულები, კალმები, კარანდაშები და სხვანი.

კნიაჟნა ელისაბედ ვახტანგის ასული გურამიშვილისა

# დეპეშა

5 იანვარი

**კადიქსი.** ქრისტეფორე კოლუმბის კუბოს დღეს აჰხადეს თავი. კუბოში აღმოჩნდა 30-მდე ძვალი რამდენიმე სანტიმეტრისა. თავი ხელახლა დაჰხურეს. გემით კუბოს წაიღებენ სევილიაში, სადაც დიდის დღესასწაულობით ტაძარში გადაიტანენ.

**პარიჟი.** ერნესტ დოდე სწერს „Goulois“-ში, რომ გერმანიასთან დაკავშირების სურვილი დღითი დღე ძლიერდება საფრანგეთშიო. საფრანგეთის ერთმა მინისტრმა,—ამბობს დოდე,—ამას წინად განაცხადა, რომ მზადა ვარ გერმანიასთან ერთად ვიმოქმედო ყოველთვის, როდესაც ამას საფრანგეთის ინტერესები მოითხოვენო. კავშირი—სხვა საქმეაო.

6 იანვარი

**მასსოვა.** მაკონენისა და მანგაშას ჯარის შორის ხელ-ახლა მოხდა შეტაკება, რომელსაც მაკონენისათვის ცუდი შედეგი მოჰყვა. იგი შესამჩნევად დაზარალდა. როგორც ეტყობა შეანის წინამძღოლი თავსდასხმას თხოულობენ. მაკონენს ჰსურს, რომ საქმის გადაწყვეტა გააგრძელოს. ხმა დადის, რომ მან ხელ-ახლა დაიწყო მოლაპარაკება ზავის შესახებაო.

**ვენა.** „Polit. Corresp.“-ს ატყობინებენ კონსტანტინეპოლიდგან, პორტა სამახსოვრო წერილს ამზადებს დიდთა სახელმწიფოთა მიმართ მაკედონიის საქმეების შესახებაო.

**პარიჟი.** პალატა. საზოგადო კამათია ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. მომხსენებელი პელტანი ლაპარაკობს სახალშენო გასავალის შესახებ, ადარებს მას ინგლისის საახალშენო გასავალთან და ამტკიცებს, რომ ჩვენ 80 მილიონით მეტსა ვხარჯავთო.

**პარიჟი.** გაზ. „Soir“-ი ამტკიცებს, რომ საკასაციო სასამართლომ აღმოაჩინა 17 სიყალბე ჰანრისა და იმის თანაშემწეების მიერ ჩადენილიო. ნამდვილი საბუთის ქაღალდები ამტკიცებენო წარჩინებულ კაცთა ღალატს. ესტერგაზი ამ კაცებს სხვათა თვალის ასახვევად ჰყვანდათო.

**პეტერბურგი.** 6 იანვარს საზამთრო სასახლის დარბაზებში და იორდანეზედ მოხდა, უმაღლესის თანადასწრებით, სანათლიღებო პარადი.

**სტოკჰოლმი.** რიკსდაგი გახსნილ იქმნა სეფე სიტყვით, რომელიც წაიკითხა მინისტრმა ბოსტრემმა. სიტყვაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „რაგვარი შედეგიც უნდა მოჰყვეს რუსეთის მიერ აღძრულ კონფერენციას,—არც ერთმა სახელმწიფომ არ უნდა უგულისყოფელ ჰყოს თავისის დაცვის საშუალებანი. შვეცია მუდამ უნდა ეცადოს გააძლიეროს თვისი სუსტი ძალ-ღონე. ჯარი და ფლოტი შემდგარ იქმნა მხოლოდ თავის დასაცველადა და არავის შეუძლიან უსაყვედუროს შვეციას დიდს შეიარაღებას შეუდგა ან რამე აქვს განზრახულიო“.

7 იანვარი

**ვარშავა.** პოლკოვნიკის ქალინსკის მკვლელს, პორუჩიკს ბეკარევიჩს დახვრეტა გარდაუწყვიტეს. ჯარის მთავარ სარდალმა ეს სასჯელი უვადოდ კატორგაში გაგზავნით შეუცვალა.

თავადი იმერეთინსკი პეტერბურგს წავიდა.

**მასსოვა.** რას მიხეილის შუამდგომლობით, მაკონენსა და მანგაშის შორის სულ-ახლად ზავი იქმნა დადებული ისეთის პირობებით, რომელნიც წინანდელისაგან არ განირჩევა. დაწვრილებით ჯერ არა იციანრა. განგაშმა საომარი სიმაგრეები დასტოვა. მაკონენი ადიგრატში მიდის.

**ლონდონი.** მიიღო რა საზოგადოების საერთაშორისო სამშვიდობო სამედიატორო სასამართლოს დეპუტაცია და მოისმინა რა ამათი სალამი, რომელშიაც ყურადღება იყო მიქცეული იმა გარემოებაზედ, რომ კამბონის ინგლისში მისვლა და რუსეთის მეფის სამშვიდობო მანიფესტაცია ერთს დროს მოხდაო,—კამბონმა უპასუხა, რომ საფრანგეთში გრძნობა მტრობისა ინგლისის ერის მიმართ არა არსებობსო. ორივე ქვეყნის ჟურნალ-გაზეთობა აღვიარებს მცირე გაუგებრობას, ფაშოდის საქმით გამოწვეულს. არც საფრანგეთი და არც საფრანგეთის მთავრობა ომს არ არიან მოწადინებულნი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ევროპის ერნი მშვიდობიანობას ნამდვილად ერიან მოსურვებულნი და გულით შეუერთდებიან რუსეთის განზრახვას, მაგრამ ვშიშობ-კი, რომ ამ განზრახვათა განხორციელებამდე ბევრი დრო გავაო.

**პარიჟი.** ესტერგაზი მოვიდა აქა. არავინ ინახულა სალაპარაკოდ. არა ჩვეულებრივი არა მომხდარა-რა.

—

**პეტერბურგი.** 2 იანვარი. პირველის სესხის მოგებიან ბილეთების მე-68 ტირაჟში ხუთასმანეთიანი მოგება ჰხვდა შემდეგ ბილეთებს *).

| №№ ბილეთ. | №№ სერიის | №№ ბილეთ. | №№ სერიის | №№ ბილეთ. | №№ სერიის |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1592 | 16 | 16359 | 34 | 8408 |
| 1 | 12881 | 17 | 7752 | 34 | 9361 |
| 1 | 14478 | 17 | 8554 | 34 | 9763 |
| 1 | 16841 | 17 | 10934 | 34 | 9839 |
| 2 | 708 | 17 | 12622 | 34 | 12193 |
| 2 | 2422 | 18 | 2614 | 35 | 5512 |
| 2 | 3241 | 18 | 4396 | 35 | 11529 |
| 2 | 5270 | 18 | 8701 | 35 | 11841 |
| 2 | 9142 | 18 | 9103 | 35 | 14468 |
| 2 | 9913 | 18 | 13404 | 36 | 8854 |
| 2 | 13593 | 18 | 15191 | 36 | 9032 |

*) უმთავრესი მოგებანი დაბეჭდილია ამ წლის „ივერიის“ მე-2 ნომერში.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2 | 14677 | 19 | 138 | 36 | 18384 |
| 2 | 14856 | 19 | 259 | 37 | 1028 |
| 2 | 16631 | 19 | 1145 | 37 | 1290 |
| 2 | 19969 | 19 | 2407 | 37 | 4000 |
| 3 | 433 | 19 | 5375 | 38 | 11694 |
| 3 | 2606 | 19 | 13649 | 38 | 13415 |
| 3 | 2879 | 19 | 16884 | 38 | 14573 |
| 3 | 10627 | 20 | 9188 | 38 | 17115 |
| 4 | 2573 | 20 | 18599 | 38 | 17304 |
| 4 | 3487 | 21 | 3352 | 39 | 4342 |
| 4 | 8832 | 21 | 12729 | 39 | 5731 |
| 4 | 14077 | 21 | 19760 | 39 | 7207 |
| 4 | 18695 | 22 | 51 | 39 | 8420 |
| 5 | 4518 | 22 | 7841 | 39 | 10007 |
| 5 | 5228 | 22 | 9583 | 39 | 11616 |
| 5 | 9662 | 22 | 13033 | 39 | 12778 |
| 5 | 13821 | 22 | 13492 | 39 | 16937 |
| 5 | 16999 | 22 | 13720 | 39 | 19508 |
| 5 | 17212 | 22 | 17712 | 40 | 7433 |
| 5 | 19056 | 23 | 3001 | 40 | 7876 |
| 5 | 19213 | 23 | 6391 | 40 | 12864 |
| 5 | 19909 | 23 | 7253 | 41 | 12460 |
| 6 | 917 | 23 | 16494 | 42 | 358 |
| 6 | 7211 | 24 | 539 | 42 | 2495 |
| 6 | 9323 | 24 | 13371 | 42 | 2714 |
| 6 | 12778 | 25 | 6685 | 42 | 2842 |
| 6 | 13559 | 25 | 7290 | 42 | 7278 |
| 6 | 19973 | 25 | 14465 | 42 | 7405 |
| 7 | 2440 | 25 | 16990 | 42 | 7477 |
| 7 | 5395 | 25 | 19590 | 42 | 7911 |
| 7 | 6606 | 26 | 2255 | 42 | 10478 |
| 7 | 14439 | 26 | 4810 | 42 | 18112 |
| 7 | 18480 | 26 | 5945 | 43 | 8575 |
| 8 | 472 | 26 | 8079 | 43 | 8997 |
| 8 | 5454 | 26 | 14633 | 43 | 12000 |
| 8 | 5491 | 26 | 16715 | 43 | 17444 |
| 8 | 5851 | 26 | 18976 | 43 | 18489 |
| 8 | 9980 | 26 | 19216 | 43 | 18781 |
| 8 | 12140 | 27 | 1224 | 44 | 2131 |
| 8 | 14061 | 27 | 5708 | 44 | 10938 |
| 8 | 17714 | 27 | 7619 | 44 | 13289 |
| 8 | 17718 | 27 | 7647 | 44 | 13970 |
| 9 | 3411 | 27 | 13536 | 44 | 18650 |
| 9 | 7029 | 27 | 13561 | 44 | 19950 |
| 9 | 18188 | 28 | 4632 | 45 | 5512 |
| 10 | 1411 | 28 | 11943 | 45 | 5733 |
| 10 | 8434 | 28 | 15429 | 45 | 12337 |
| 10 | 16203 | 29 | 556 | 45 | 12879 |
| 11 | 1546 | 26 | 3296 | 45 | 15472 |
| 11 | 3605 | 29 | 8777 | 45 | 15525 |
| 11 | 9113 | 30 | 8023 | 45 | 17833 |
| 11 | 16253 | 30 | 8497 | 46 | 9587 |
| 11 | 17395 | 30 | 8817 | 46 | 10107 |
| 11 | 18781 | 30 | 11103 | 46 | 13125 |
| 12 | 4033 | 30 | 16745 | 46 | 13944 |
| 12 | 4206 | 30 | 16772 | 47 | 3531 |
| 12 | 11381 | 31 | 237 | 47 | 5901 |
| 12 | 13514 | 31 | 4694 | 47 | 7165 |
| 12 | 13827 | 31 | 4820 | 47 | 7497 |
| 13 | 3968 | 31 | 7298 | 48 | 555 |
| 14 | 4745 | 31 | 991 | 48 | 913 |
| 14 | 6941 | 31 | 13846 | 48 | 1303 |
| 14 | 18827 | 31 | 17232 | 48 | 8168 |
| 14 | 19056 | 31 | 19179 | 48 | 13254 |
| 14 | 19174 | 31 | 19237 | 48 | 15645 |
| 15 | 4939 | 32 | 350 | 49 | 4022 |
| 15 | 6328 | 32 | 4016 | 49 | 7008 |
| 15 | 6384 | 32 | 6012 | 49 | 10469 |
| 15 | 8899 | 32 | 15637 | 49 | 12909 |
| 15 | 14862 | 32 | 16168 | 50 | 5279 |
| 15 | 17549 | 33 | 1424 | 50 | 7323 |
| 16 | 192 | 33 | 4327 | 50 | 8080 |
| 16 | 1422 | 33 | 4728 | 50 | 11239 |
| 16 | 7892 | 33 | 4840 | 50 | 13488 |
| 16 | 9368 | 33 | 10723 | | |
| 16 | 10530 | 34 | 7040 | | |

გაუქმების ტირაჟში გამოვიდა სერიები 2358, 1102, 16063, 17501, 19690, 14653, 4148, 19154, 4186, 1086, 4587, 5274, 17349. 17136, 15150, 5564, 171, 7687, 898, 11731, 17635, 14526, 9312, 5330, 13080, 15714, 7774, 7754. 1854, 19651, 3755, 11556, 8613, 1698, 8517, 5381, 15619, 2506, 16749, 12291, 9932, 2442, 3417, 6818, 13867, 8999, 12894, 16389, 8904, 387, 4283, 4331, 10700, 3284, 11406, 12692, 276. 936, 5188, 10776, 4201, 1036, 14994, 199, 13186, 2817, 3694, 2137, 19618, 13829, 1921, 11506ა 19769, 11109, 5640, 5287, 10384, 9284, 17587, 1750, 4669, 8775, 15753, 17611, 29, 7517, 13666. 16973, 19628, 9460, 9783, 11158, 15082, 18320, 11350, 1230, 4500, 14492, 19423, 15940, 8877, 388, 15469, 14641, 6838, 16788, 2820, 19621, 1842, 5850, 19653, 15038, 14474, 3101, 8881, 16920, 17893, 19515, 19802, 12967, 1397, 16421, 16666, 3875, 16321. 17634, 13035, 5514, 13441, 10252 1327, 15008, 18556, 1625, 16058.

პეტერბურგის ბირჟა, 5 იანვარი

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა | გაცვლი-ლისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 223 | — „ | — „ |
| $3\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | $95\frac{1}{4}$ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | 100 | — „ |
| $4\frac{1}{2}$% იმავე ბანკისა | — „ | — | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | $99\frac{3}{4}$ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | $266\frac{1}{2}$ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | 223 | — „ | — „ |

—✦✦—


დაიბეჭდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

# სიტყვიერების თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებულით ანუ ქრისტომატიით, რომელიც ორ-ნაწილად არის შემდგარი.

წიგნი დანიშნულია სახელმძღვანელოდ და სახმარებლად სათავად-აზნაურო სკოლებისა, სასულიერო სასწავლებლებისა, საოსტატო და სამართლ-მადიდებლო სემინარიებისა და დედათა საეპარქიო სკოლებისათვის,

შედგენილია კირიონ ალავერდის ეპისკოპოსისა და გრიგოლ ყიფშიძის მიერ.

მოკლე შინაარსი სიტყვიერების თეორიისა: წინასიტყვაობა.—შესავალი.—თეორია ენისა ანუ სტილისტიკა.—პროზა ანუ თეორია პროზისა.—თეორია პოეზიისა.—პოეზია საეპიკო და სალირიკო.—სადრამო პოეზია.

მოკლე შინაარსი სალიტერატურო ნიმუშების კრებულისა: ნაწილი I. აღწერანი მარტივნი და მხატრობითნი.—მგზავრის წერილები.—მოთხრობითნი თხზულებანი, ბიოგრაფია და დახასიათებანი.—მსჯელობითნი თხზულებანი.—საორატორო პროზა: მჭევრმეტყველება საპოლიტიკო, სახოტბო და სასულიერო.

ნაწილი II. საეპიკო პოეზია.—საერო ეპოსი.—ესკიზი, ამბავი და მოთხრობა.—იდილიები, იგავ-არაკნი და ბალადები.—სალირიკო პოეზია: სატირა, ოდა, ელეგია, სალირიკო ლექსნი, ლექსნი, დაწერილნი საერო კილოზედ, ხალხურნი ლექსნი, ჰიმნი, მადრიგალი, ეპიტაფია, ეპიგრამა. (ამ უკანასკნელს განყოფილებაში მოთავსებულია, სხვათა შორის, საუკეთესო სალირიკო ლექსები ჩვენის პოეტებისა).

მთლად წიგნი, ესე იგი სიტყვიერების თეორია და დამატება (ქრისტომატია) ორ ნაწილად, საკმაოდ მოზრდილის ტანისაა და შეიცავს 640 გვერდს ანუ სტამბის $20\frac{1}{2}$ თაბახს და ჰღირს

ერთი მანათი.

წიგნის მაღაზიებს და საზოგადოდ ყველას, ვინც ათს ცალზედ ნაკლებს არ იყიდის ნაღდს ფულზედ, 20% დაეთმობა.

საწყობი წიგნისა „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაშია. იქვე ისყიდება ახალი ქართული წიგნი

უცხო მწერალთა ამბავნი და მოთხრობანი

თარგ. გრ. ყიფშიძის მიერ.

ფასი სამი შაური. (10—5)



# მოგზაურთა საყურადღებოდ!

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ქ. ბათომში შევისყიდეთ უკვე არსებული სასტუმრო

„ლონდონი“,

რომელშიაც 20 ოთახია—1 მანეთიდან ვიდრე 3 მან. დღე და ღამეში. სასტუმროს აქვს საკმაოდ სუფთად მოწყობილი სასადილო კაბინეტითით და გვ-თდება როგორც ევროპიული, ისე ჩვენებური საჭმელები. ინდაურის საცივე, ხარჩო ლომით და დოში თითქმის ყოველდღე გვაქვს. ტფილისიდან ვიწერ „კახელ მევენახეთა ამხანაგობის“ და მუხრან-ბატონის ღვინოებს და იმავე ფასად ვყიდით, როგორც ტფილისის სასტუმროებში ჰყიდიან. ყოველსავე საგანს დაწესებული ფასი აქვს, მხოლოდ ნაცნობთათვის დავადგინეთ საგრძნობელი შეღავათით მიცემა.

საჭიროდ არა ვრაცხთ დავპირდეთ საზოგადოებას, რომ სასტუმროში არის სისუფთავე: ახალი სანოვაგე, ზრდილი და მარდი მოსამსახურენი და არა ჩვეულებრივი იაფობა, რადგანაც პირველი ისედაც სავალდებულოა ჩვენთვის და იაფობას კიდევ პირდაპირი კავშირი აქვს როგორც ბაზართან, სადაც ჩვენც ვყიდულობთ, ისე ყოველდღიურ სავალდებულო ხარჯთან. მაინც-კი ყოველს ღონეს ვიღონებთ, რომ სასტუმროს ოჯახური ხასიათი ჰქონდეს.

პატივისცემით დავშთები სასტუმროს პატრონი ალექსანდრე თოიძე.

(3—6.—3)



# იყიდება იაფად და პირიანად

სხვა-და-სხვა საგალანტერეიო საქონელი: ქოლგები, ხელთათმანები, მარაოები, ლენტები, არშიები, ჩულქები, კორსეტები, პირ-ბადეები და ქალისა და კაცის სხვა სამკაული

# შკაფი № 21.

თამამშევის ქარვასლაში, ფორაქოვის მაღაზიის პირდაპირ.

ყველა საქონელი კარგის ღირსებისაა.

(20—6.—7) ი. ნიკოლაშვილი



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

# „კვალი“

გამოვა 1899 წელსაც ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდგან სამ თაბახამდე.

იმავე პროგრამით და იმავე თანამშრომლებით, როგორც 1898 წელს.

გაზეთი წლიურათ ღირს გაუგზავნელათ 7 მანეთათ, ხოლო გაგზავნით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუგზავნელათ 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანეთ. სამი თვით გაუგზავნელათ 2 მანეთ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. თითო ნომერი სამ შაურათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая ул. д. зем. банка № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტილერიის ქუჩა № 5 კადეტის კორპუსის ახლო.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ редакція „КВАЛИ“ (3—უ.—3)



ახლად დაიბეჭდა წიგნი

# ИСТОРІЯ
# ГРУЗИНСКОЙ ЦЕРКВИ

**Книга I. Обращеніе картвельцевъ.**

ფასი 40 კაპ.

და ისყიდება წ. კითხვისა და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში.

იქვე ისყიდება იმავე ავტორის გამოცემანი:

ა) ისტორ. მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა, ფასი 40 კაპ.

ბ) შოთა რუსთაველი, ფასი 40 კ.

გ) სამცხე, ფასი 25 კ.

დ) ქართლი, ფასი 25 კ.

ამათგან წიგნები „ა“ და „ბ“ მთავრობისაგან მოწონებულია სამრევლო სკოლებში სახმარად საკითხავ წიგნებად („одобрены въ качествѣ книгъ для) чтенія“), და წიგნები „გ“ და „დ“ სახელ-გაკეთებულია იმავე სკოლების მასწავლებელთათვის. (5—უ.—4)





(3—მ—3)